სახალხო გაზეთი

№ 1153 სამშაბათი, 1 აპრილი 1914 წ. № 1153

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედინი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძმლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის
„სახალხო გაზეთზე"
(სურათებიანი დამატებით)
წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.
წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.
მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" П. Ящ. 190

უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიას გასასყიდად
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა
მეხუთე ტომი,
ფასი ერთი მანეთი.

29 მარტს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი
ეკატერინე დავითის ასული ლუარსამიძისა,
რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ვაჟი-შვილები: ნიკოლოზი და ივანე დიმიტრის ძენი ლუარსამიძეები, რძალი—პელაგია ზაქარიას ასული ლუარსამიძე, ქალიშვილები: ქვრივი დარია დიმიტრის ასული ელიბაქიძისა, სოფიო დიმიტრის ასული კლიმიაშვილისა, ანნა დიმიტრის ასული ანანიაშვილისა, მარიამი დიმიტრის ასული რუსიშვილისა მეუღლეებითურთ და ნატალია დიმიტრის ასული სამთაშვილისა. ცხედარს გაასვენებენ ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში სამშაბათს, 1-ს აპრილს დილის 9 საათზე; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ბინა მე-9 ნაწ. მეორე თუმანოვის ქუჩა სახლი № 2. 218.

ტფილისის კერძო სამკურნალო
ჭეჭნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.
წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	მანსვეტაშვილი ვ. ბ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. მალალაშვილი ნ. ნ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. მიქელაძე ზ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს. ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, 1½—12. ქიქალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. მელიტიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1. ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი მერაბიძე-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12. თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2. მელიტიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	მიქელაძე ზ. ა. ყოველ დღე 12½—1. ფედოროვი ზ. ს. ყოველ დღე 11—2. ქიქალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ელექ.	ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606"-და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

სანატორიუმი
„რუსული დავოსი",
აბასთუმანში.
გულსუსტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაკსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეძროხეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სანატორიუმის დირექტორს ექიმს ზ. მეგრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1273 მეტ. ტფ. გუბ.
ტელეფონი № 7—32. 1087

სამანუფაქტურო მაღაზია
მ. გ. აბაშიძისა
გადავიდა იმავე თამამშევის ქარვასლაში, ერევნის მოედანზე, სასახლის ქუჩის დასაწყისში, სამხედრო შტაბის პირდაპირ, სადაც მიღებულია ყოველ-ნაირი ახალი საქონელი. ფასები ძლიერ ხელმისაწვდომად და შეუვაჭრებლად.
შაბათობით ნაჭრების დიდი იაფობა. 1028

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინთვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)
მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.
ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.
პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.
ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.
ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.
ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.
რჩევის საფასური—50 კაპ.
წამლობა „914". 1023

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)
განყოფილებებით.
კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
ვინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914". 1088

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ სოლოლაკის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ამზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ექიმთა საზოგადოების
სამკურნალო
მუდმივ საწოლებით.
(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.
ტელეფ. № 1026.
ავადმყოფებს იღებენ:
აგაჯანოვი მიხეილ—საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.
ელჩიბეგი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.
ელჩიბეგი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.
კიმონტი მ. პ.—სალოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.
მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.
სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა, რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.
შეშხაპუნება „914", „606". 1040

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელიაევი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოგუსლავსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიევი—ბავშვ. შინაგანი სნეულებ.-ისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
გნუჩკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.
ზამაში, სალოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ასპინდოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავადმ. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გუინეცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.
სათვალეების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

ნაძალადევში
ექიმი ი. რ. სურგულაძე ხუდადოვის ქ., 4.
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

ქ. გორში
(დოქტორანტი).
ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 8—16

ექიმი პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ტფილისი, 1 აპრილი

ეროვნული საკითხი და კადეტები.

კადეტების კონფერენცია-ს საკმაოდ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი თითქმის ერთად-ერთი ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიაა, რომელიც რამდენადმე მაინც აცოცხლებს ლიბერალების და ათასნაირი ჯურის პროგრესისტების პოლიტიკურ მაჯის-ცემას. კადეტების კონფერენცია უმეტეს შემთხვევაში თავისი შინაური პარტიული საქმებით იყო დაინტერესებული, მაგრამ აღიძრა ისეთი საკითხებიც, რომელთაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ჩვენ მოგახსენებთ ეროვნულ საკითხის თაობაზე. კადეტების გაზეთები, მათი ლიდერები, რომელნიც ტფილისშიაც იყვნენ, ყოველთვის აცხადებდნენ და ეხლაც აცხადებენ, ეროვნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცესო. კადეტების პარტია, სხვა ზომიერ პარტიებთან შედარებით, ნაკლებად არის დასნეულებული ნაციონალური ცრუმორწმუნოებით და არა-რუსთა დევნასა და შევიწროვებაში არა ჰხედავენ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესს. ასეთი კადეტებს არა ერთხელ და ორჯელ განუცხადებიათ, რომ, თუ რუსეთსა ჰსურს პოლიტიკური მთლიანობა დაიცვას, უსათუოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციოს ეროვნულ საკითხს და პატარა ერთა სამართლიანი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოსო. ასეთი ყოფილა მათი განცხადება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი. ასეთივე აზრები გამოითქვა კადეტთა უკანასკნელ კონფერენციაზედაც ეროვნებათა შესახებ.

საუბედუროდ, რუსულ გაზეთებში ძალიან მოკლედ არის გადმოცემული კონფერენციის სხდომების ანგარიში. კადეტთა პარტია ჯერ ისევ „არალეგალურ" პარტიად ითვლება, და ეს გარემოება შეუძლებელ-ჰხდის დაწვრილებითი ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, გაზეთებში მაინც მოჰყვა ცნობები, რომლებიც ძალიან დამახასიათებელ შუქს აყენებენ კადეტებს და ცხად-ჰყოფენ, რომ მათი გულის-ნადები და პოლიტიკური დამოკიდებულება ეროვნებებთან ბევრით არაფრით განსხვავდება, თუნდაც, იმავ ოქტომბრისტებისაგან, რომლებსაც კადეტები ყოველ დღე ებრძვიან. პ. მილიუკოვმა და სხვებმა ხაზი გაუსვეს ეროვნულ საკითხს და აღნიშნეს, რომ საჭიროა კონფერენციამ ფართოთ დააყენოს ეროვნული საკითხი და თვითეულ ერს მიენიჭოს სრული უფლება ეროვნული თვითგამორკვევისა, ზოგიერთს მათგანს კი მიენიჭოს ავტონომიაო. მაგრამ კონფერენციის უმრავლესობამ, რომელიც სხვა საკითხებში ძალიან რადიკალობდა, ეროვნულ საკითხში დიდი ზომიერება გამოიჩინა და ეს ზომიერება დაასაბუთა მით, რომ ეროვნული საკითხის ფართოდ დაყენება სახიფათოა რუსეთის მთლიანობისათვისო.

ვინც რუსეთის კონსერვატიულ პარტიების მოქმედებას იცნობს, ეცოდინება, რომ ერთად-ერთი უმთავრესი საფრთხობელა მათთვის სწორედ ეს რუსეთის დანაწილების შიშია. კონსერვატორს რომ ჰკითხოთ, რათა ხართ, მაგალითად, ქართველების წინააღმდეგიო, თავის დღეში არ იტყვის, მძულს და იმიტომაო. თავის მტრულ განწყობილებას იგი მხოლოდ იმით ახსნის, რომ ქართველების მოთხოვნილება მას საშიშრად, სახიფათოდ მიაჩნია რუსეთის მთლიანობისთვის, რადგანაც როგორც რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესი, ისე მისი მთლიანობა მას თავისებურად ესმის. მაგრამ, როდესაც ასეთსავე შიშს გამოსთქვამს პროგრესისტი, კადეტი და დემოკრატი, მაშინ რა **პრინციპიალური** განსხვავება უნდა არსებობდეს კონსერვატორსა და პროგრესისტს შორის? ნუ თუ მხოლოდ

ის, რომ ერთი უფრო ლმობიერად ექცევა ერს, ვიდრე მეორე?

ეს ოდნავათაც ვერ დააკმაყოფილებს პატარა ერთა მოთხოვნილებებს და მხოლოდ აგრძნობინებს, რას შეიძლება მოელოდეს იგი ისეთის პარტიისაგან, რანაირიც არის კადეტთა პარტია? ეროვნებანი პოლიტიკურ პარტიებისაგან მოითხოვენ გარკვეულ პასუხს ეროვნულ საკითხის გამო და იღებენ კი ისეთს, რომელიც ან უშინაარსო სიტყვიერი დეკლარაციაა უფლებათა შესახებ, ან ფრიად კონკრეტიული ხასიათის შიში იმის წინაშევე, რაც დიდიხანია ხელზე დაუხვევიათ რუსეთის რეაქციონერებს და რასაც მიმართავენ ეროვნებათა წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

ასეთი დასკვნა კადეტებს დიდს პოლიტიკურ გამჭრიახობად ვერ ჩამოერთმევათ.

ქართული პრესა

ერთი დიდი უბედურება დატრიალებულა ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც დღემდის არავის დაუნახავს და ეხლა აღმოუჩენია გაზეთ „ფიქრის“ რედაქციას. საქმე ისაა თურმე, რომ ქართველი მუშები თეატრსა და წარმოდგენებს ეტანებიან და ეს დაღუპვას უქადის მათ, ჩამორჩენას, პოლიტიკურსა და გონებრივს გადაგვარებას.

აი, რა ნაღვლიანად ჰგოდებს „ფიქრის“ უკანასკნელი ნომერი:

„თეატრი და წარმოდგენების წრე სახალხო სახლში; ისეთივე თეატრები და წრეები ნაძალადევში, ხარფუხში, ავლაბარში, ავჭალის აუდიტორიაში!

ვერთობით რადა!

მტერსაც ეს უნდა!“

გაზეთი ამბობს, ქართველი მუშების დაღუპვას ერთი მაგალითი, სხვათა შორის

„25 ამ თვეს ვნახეთ სახალხო სახლში, სადაც ბ. კავსაძის ლოტბარობით მუშა მომღერალთა გუნდი გალობდა, თეატრი სავსე იყო: მრავალი ხალხი უბილეთობის გამო სახლში დაბრუნდა. კონტრამარკები გალიორკაზე შესასვლელად ორ აბაზად ღირდა და ვერც იმას შოულობდნენ, პარტერის ბილეთების სიძვირეზე ლაპარაკიც მეტია...“

ამაზე მეტი უბედურობა და იქნება!

გაზეთი ასე ათავებს წერილს:

„როცა ყოველ ამას ვხედავ, მინდა შევეკითხო ჩემს ამხანაგებს: საით მივდივართ?“

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, უკეთესია თვითონ „ფიქრს“ ჰკითხოს ადიმიანმა: საით მიდის?

⁂

ჩვენს გაზეთში ამას წინად **სიტყვას** წერილი იყო დაბეჭდილი იმის შესახებ, რომ წ.-კ. საზოგადოებამ ქართველ მაჰმადიანებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს, ვიდრე ნალჩიკში გარდახვეწილ ქართველებს. ამის გამო ნალჩიკელი ივ. ლობჟანიძე ეკამათება სიტყვას და სწერს **„თემში“**:

„კარგი და პატიოსანი! რასაკვირველია, დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი სიტყვა ამ დიდად სიმპატიურ აზრის გამოთქმისათვის, რომ ჩვენს ძმებს ქართველ მაჰმადიანებს აქცევს ყურადღებას, მხოლოდ, მგონია, ჩვენ იმდენი არასფერი დაგვიშავებია, რომ ქართველი საზოგადოებისაგან უყურადღებოდ დასატოვარნი ვიყვნეთ“.

აქ ცოტა არ იყოს, გაუგებრობაა ბ. ლობჟანიძის მხრით. არავინ, ამბობს, რომ ნალჩიკელი ქართველობა დახმარების ღირსი არ იყოს, მაგრამ როცა სახსარი ცოტა გვაქვს, ჯერ შუაგულ საქართველოს, საქართველოში მცხოვრებ ქართველებს უნდა მივხედოთ და მერე გავუწოდოთ ხელი საქართველოს გარედ მყოფებს.

⁂

„კოოპერაციის“ უკანასკნელ ნომერში ვკითხულობთ კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ:

„ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო ქართველი ბურჟუაზიის განვითარებისა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ სახალხო-საეროვნო საქმისთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს რომელიმე მივარდნილ სოფელში წვრილი სესხის განვითარებას, ვინემ ტფილისში **„მსხვილი“** სააქციონერო ბანკის დაარსებას.

ვიმეორებთ იმას, რაც შარშან გამოვთქვით: საჭიროა ალღოს ართმევა ჩვენი ცხოვრების ეკონომიური პირობებისთვის, საჭიროა მხურვალე მონაწილეობის მიღება სესხისა, სამეურნეო და სხვა კოოპერატივებში,—ჩვენშიც ბევრი რამ გაკეთდება კოოპერაციის ნიადაგზე!..

ციმბირში კოოპერაციის საუცხოვო გამარჯვებამ მთელი ქვეყანა აალაპარაკა და ამ გამარჯვების მიზეზებს ჩვენც უნდა გაუწიოთ ანგარიში, ჩვენც უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი ხალხის, ჩვენი სოფლისა და დაბა-ქალაქის დემოკრატიის დღევანდელი ინტერესები სრულებით არ მოითხოვენ ბურჟუაზიის განვითარებას საზოგადო ძალებით.

საზოგადო ძალები უნდა შეიჩეხონ სახალხო—საკოოპერაციო ორგანიზაციებში და მათ თვითმოქმედების უნარი აქ უნდა გამოიჩინონ“.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ეგზარხოსის ლექცია.** 31 მარტს, საღამოს, საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ მეფის მოადგილის სასახლის თეთრს დარბაზში სამღვთისმეტყველო ლექცია წაიკითხა შემდეგს თემაზე: „აღდგომა ქრისტესი და მნიშვნელობა მისი კაცობრიობისათვის“. ლექციის წინ და შემდეგ ეგზარხოსის ხორომ რამდენიმე საეკლესიო საგალობელი შეასრულა. ლექციას დაესწრნენ: მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა, მეფის მოადგილის თანაშემწენი: გენერალი ა. ზ. მიშლიაევსკი და გოფმეისტერი უმაღლესი კარისა ნ. ლ. პეტერსონი, სომხეთა საპარქიო უფროსი ეპისკოპოსი მესროპი, ებრაელთა რაბინი მარგუსი, ვიცე-გუბერნატორი პანოვი, სასწავლებლების უფროსები და სხვ. ლექციის შემოსავალი 1000 მანეთამდე იქნება. ეს ფული დაურიგდება ტფილისის ულარიბეს მცხოვრებთ. ეგზარხოსისთვის ამ დახმარების მისაღებად უკვე 100 ღარიბს მიუმართავს თხოვნით.

◆ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა.** როგორც შევიტყვეთ, უმეტესი ნაწილი წიგნისა უკვე დარიგებულა და ახლა გამომცემლობა სთხოვს ვისაც წიგნი ჯერ არ მიუღია დაეჩქაროს მიღებას. იმ ხელისმომწერთ, ვინც წიგნი გამომცემლობის აგენტებთან დაიკვეთა, უნდა მიმართონ აგენტებს და ვინც პირდაპირ გამომცემლისაგან გამოიწერა— ამ უკანასკნელს.

◆ **ახალი სამკითხველოები.** გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას, დაარსოს ზემო მაჩხაანში (სიღნაღის მაზრა) უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ბლაღოჩინ მღვდლის კირილე ღვთისავრიშვილის პასუხისმგებელ გამგებლობით.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს, ნავთლუღში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსოს.

◆ **კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის** საორგანიზაციო კომიტეტს ბაქოელმა ნავთის მრეწველმა მურტუზა მუხთაროვმა სურვილი განუცხადა, ამ ბანკის 400,000 მან. აქციის შეძენისა. ეს წინადადება მიღებულ იქმნა.

◆ **ერევნის ეპისკოპოსი პიმენი** დღეს თვის ეპარქიაში (ერევანში) მიემგზავრება, სადაც მღვდელმსახურებას შეასრულებს წითელს პარასკევსა და აღდგომის პირველს სამს დღეს.

◆ **დიმ. ყიფიანის დაბადების 100 წლის თავი.** მდგომარე 1914 წლის 14 აპრილს შესრულდება 100 წელიწადი ჩვენის სახელოვანის მამულიშვილის დაბადებიდან. რადგან შარშან 27 ღვინობისთვეს მისი მოწამებრივის გარდაცვალების 25 წლის თავი არ გადაგვიხდია, სასურველია წლეულს დაბადების ასის წლის თავი და გარდაცვალების 26 წლის თავი ერთად გადავიხადოთ მომავალ ღვინობისთვის 27-ს როგორც გავიგეთ, ამ დროისათვის მისი შვილის-შვილი, ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი ქალი, ბარბარე ყიფიანი აპირებს სამშობლოში ჩამოსვლას თავის დიდებულის პაპის დღესასწაულზე დასასწრებლად.

◆ მინისტრთა საბჭომ მოიწონა სათათბიროში შესატანად კანონპროექტი **ტფილისში ქალთა მეოთხე გიმნაზიის** დირექტორის თანამდებობის დასამტკიცებლად.

◆ **სამეურნეო ბანკის** წევრთა კრებამ ამ ბანკის ბუჰგალტრად ნამყოფს ბ-ნ კანდელაკს, რომელიც ამ ჟამად მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტში სწავლობს, ერთდროულ დახმარებად დაუნიშნა 800 მან.

◆ **ექსკურსია.** ამ დღეებში ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთა ექსკურსია რამდენიმე დღით შავის ზღვის მხარეს მიემგზავრება.

◆ პოლიცმეისტერმა განკარგულება გასცა, რათა პოლიციელებმა შესაფერი ღონისძიებანი მიიღონ მოსალოდნელ წყალდიდობის წინააღმდეგ.

◆ **ქალაქის სახელოსნო სკოლის** მოსწავლეთა ექსკურსიამ ტყიბული და ბორჯომი მოიარა და 30 მარტს ტფილისს დაბრუნდა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 31 მარტს მოხდა ს. ს. არუთიუნოვის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა და უცვლელად დაამტკიცა საზოგადოების 1913 წლის მოქმედების ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, შემდეგი სჩანს: 1913 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებას ჰყოლია 2,832 წევრი 1.532,220 მან. თანხით; 1914 წლის 1 იანვრისთვის გამხდარა 3,022 წევრი 1,619,990 მან. თანხით. თვითეულ წევრისთვის სესხად უძლევიათ საანგარიშო წელს არა უმეტესი 30,000 მან. და არა ნაკლები 300 მან. 1914 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებას ჰქონია 1,754,915 მან. სათადარიგო თანხა. საანგარიშო წელს საზოგადოებას დაუტრიალებია 203,082,373 მან. 78 კ. წმინდა მოგება დარჩენია 138,409 მან. 17 კ. საანგარიშო წელს დასრულებულა აგება საკუთარ შენობისა (სოლოლაკის ქუჩაზე) რომელზედაც დახარჯულა 30,000 მან. იმაზე მეტი, რაც გადებული იყო. კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობასა და საბჭოს და დაადგინა, საზოგადოების კანტორის მოსამსახურეებს (არჩეული პირნი არ შედიან) ჯილდოდ მიეცეთ სამ-სამი თვის ჯამაგირი გარდა წმინდა მოგების იმ 3%-სა, რომელიც ეძლევათ. კრებამ ერთხმად უკენჭოდ აირჩია: საზოგადოების საბჭოს წევრად—გ. გ. ადელხანოვი და დირექტორად—თ-დი დ. ნ. თუმანოვი. კრებამ დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 93,955 მან. დასასრულ არჩევნები მოხდა. ასარჩევი იყო საბჭოს ორი წევრი. ყუთი დაიდგა რვა კაცმა. არჩეულ იქმნა ი. ს. ალიხანოვი, რომელმაც მიიღო 810 თეთრი და 728 შავი კენჭი. [illegible] შემდეგ პირნი: ტ. ა. ენფიაჯიანცი (585—953), ი. გ. კაჭკაჭევი (386—1152), ს. გ. მირზოევი (403 თ. 1135 შ.), ა. ა. აივაზიანი (286—1252), დ. ი. როტინოვი (586—952), თ-დი ვ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (496—1042) და თ-დი ნ. ა. თუმანოვი (376—1162). სარევიზიო კომისიის წევრობაზე ყუთი დაიდგა ექვსმა კაცმა. ექვსივე გაშავდა. მათი გვარები: ი. ს. სტეფანოვი (687—851), ი. ა. ტერ-აკოფოვი (720-818) ა. ა. ტერ-აბრამიანი (683—855), გ. მ. ოტიანცი (535—1003), ი. ო. არუნოვი (321—1217) და მ. გ. აბალოვი (351—1187).

◆ **ტფ. სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება 31 მარტს მოხდა გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა და დამტკიცა ანგარიში საზოგადოების წარსულ წლის მოქმედებისა. ამ ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს, 1913 წლის 1 იანვარს საზოგადოებას ჰყოლია 1344 წევრი 135,487 მ. საწარმოო თანხით; 1914 წლის 1 იანვრისთვის გამხდარა 1417 წევრი 146,296 საწარმოო თანხით. წევრნი ხელობის მიხედვით ასე განაწილდებიან: სოფლის მეურნე 415, მემამულენი, რომელნიც სასოფლო მეურნეობას არ მისდევენ—274, სახლის პატრონები—304, ვაჭარ—მრეწველნი—188, წვრილი ხელოსნები—34, სახელმწიფო, საზოგადო და კერძო სამსახურში მყოფნი—147 და თავისუფალ პროფესიის პირნი—55. ამ 1417 წევრს ჰქონია კრედიტი სულ 731,475 მან. საზოგადოებას საანგარიშო წელს დაუტრიალებია 16,335,246 მან. 32 კ., წარსულ წელზე მეტი 132,397 მან. 34 კაპიკით. საზოგადოებას 1913 წელს წმინდა მოგება დარჩენია 12,500 მან. 69 კ. კრებამ დაადგინა, საწევრო გადასახადი გაადიდოს 10-დან 20%-დე, წევრებს ამასთანავე შეეძლებათ სესხად გაიტანონ იმდენი თანხა, რამდენისაც პასუხის მგებელნი არიან და არა ამის ნახევარი, როგორც დღემდე იყო. განხილულ იქმნა საკითხი საზოგადოების საკუთარ შენობის შესაძენად. ამ საქმისთვის წინად 100,000 მან. იყო გადადებული, მაგრამ საბჭოს ამ ჟამად სახლი ვერ შეუძენია. კრებამ სახლის საყიდლად დამატებით გადასდო 50,000 მან., რაიც სულ 150,000 მან. შეადგენს. დასასრულ არჩევნები მოხდა. კრებამ გამგეობის თავჯდომარედ აირჩია ისევ თ-დი დ. ე. ჩოლაყაშვილი (54 თეთრი და ერთი შავი კენჭი); საბჭოს წევრებადაც არჩეულ იქნენ ძველნი: თ-დი ვ. გ. მაჩაბელი (50—5), ა. თ. ყიფშიძე (51—4) და თ-დი ვ. ს. მიქელაძე (ერთხმად უკენჭოდ). ხოლო მათ კანდიდატებად ი. დ. გულისაშვილი, ს. ს. მომცემლიძე და ი. კ. რაზმაძე. არევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი: ა. თ. ჯვარიშვილი, ი. ი. გველესიანი და დ. ნ. ეპიტაშვილი.

◆ **სატეხნიკო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება 30 მარტს მოხდა ინჟენერ ა. პ. ბახმეტიევის თავჯდომარეობით. ინჟენერმა მ. ი. ივანოვმა წაიკითხა საინტერესო მოხსენება შემდეგს თემაზე: „ცდა ასფალტნარევ გზა-ტკეცილების გაკეთებისა“. ამ სისტემით ქუჩა გაკეთებულია ტფილისში ორგან: ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, დედათა გიმნაზიის წინა და დიდის მთავრის ქუჩაზე სახალხო სახლთან. ეს სისტემა მომხსენებლის აზრი იაფი და გიგიენურიც არის. კრებამ მომხსენებელს მადლობა გადაუხადა და თანახმად მოხსენებლის წინადადებისა დაადგინა, ურჩიოს ტფ. ქალაქის თვითმმართველობას, რათა ამ სისტემით ქალაქის მოკირწყვლა სცადოს. კრებაზე დამსწრე მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნიკო კომისიის წევრებმა სურვილი განაცხადეს, ურჩიონ სატეხნიკო კომისიას, რათა საპოლიტეხნიკუმო ადგილში უმთავრესი ქუჩა ამ სისტემით მოკირწყვლოს. ამ სისტემით მოკირწყვლა მოხსენებლის აზრით დაჯდება 8 მან. 50 კ. თვითეული ოთხ კუთხი საჟენი. აღსანიშნავია, რომ კრებას ქალაქის თვითმმართველობის არც ერთი წევრი არ დასწრებია.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** კრება 31 მარტისთვის ხელმეორედ იყო დანიშნული. კრებაზე მხოლოდ 4—5 კაცი გამოცხადდა, ამიტომ კრება კიდევ არ შესდგა. ხელახლა კრება ნააღდგომევს იქნება მოწვეული.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** საზოგადოების წევრთა საერთო კრება 31 მარტისთვის ხელმეორედ იყო დანიშნული სარევიზიო კომისიის წევრთაგან, მაგრამ არ შესდგა, რადგანაც გამგეობის 24 წევრთაგან მხოლოდ 4-5 გამოცხადდა და არც საზოგადოების წევრნი მოვიდნენ.

◆ **ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასის** წევრთა კრება 30 მარტისთვის იყო დანიშნული. კრება დილის 11 საათზე კიდეც დაიწყო; მოსამსახურეთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც განსაკუთრებით ქალაქის საავადმყოფოების მოსამსახურენი შეადგენდნენ, მოითხოვეს, რომ კრება საღამოსთვის დაენიშნათ, რადგანაც დილით მათ დრო არა აქვთ. აქის გამო კრება შესწყდა. გაგრძელება დაინიშნება ამ დღეებში საღამოთი.

◆ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ მდაბიო მოქალაქეთა მეოთხე საარჩევნო უბნის (მე-10, 11 და 12 საპოლიციო უბანი) ამომრჩეველთა კრება 30 მარტს მოხდა. კრებამ აირჩია 25 რწმუნებული და სამი კანდიდატი. ამათში ერთი სომეხია დანარჩენი რუსი.

◆ **პალესტინის საზოგადოების** ტფ. განყოფილების წევრთა საზოგადო კრება 31 მარტს მოხდა მეფის მოადგილის სასახლეში ერევნის ეპისკოპოსის პიმენის თავმჯდომარეობით, კრებამ განიხილა და დაამტკიცა განყოფილების მოქმედების ანგარიში 1913 წლის 1 მარტიდან 1914 წლის 1 იანვრამდე. გამოირკვა, რომ საზოგადოება ამ განყოფილებას მეტის ყურადღებით ეპყრობა, ვიდრე წინა წლებში და ფულსაც სწირავს. განყოფილების მოქმედება დროებით შეჩერებული ყოფილა თავმჯდომარის ეგზარხოს ინოკენტის გარდაცვალების გამო. 1914 წლის 1 იანვრისთვის განყოფილების კასაში ყოფილა ნაღდ ფულად 1884 მან. 34 კ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ეგზარხოსის ინოკენტის ხსოვნას. გენერალ ნ. პ. შატილოვის ნაცვლად განყოფილების თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქმნა ერევნის ეპისკოპოსი პიმენი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა და მოუწოდა დამსწრეთ, განყოფილებას გულმხურვალედ დახმარებოდნენ. დამსწრეებმა თვის შორის ფული შეაგროვეს განყოფილების სასარგებლოდ.

სომხეთა ცხოვრება

◆ **ეთნოგრაფიული მუზეუმი.** ჩვენ ამას წინად დაბეჭდილი გვქონდა ცნობა სომხური ეთნოგრაფიული მუზეუმის აშენების შესახებ ტფილისში. ეხლა გაზეთმა „ჰორიზონმა“ საკითხი აღძრა, რომ სომხური ეთნოგრ. მუზეუმი ტფილისში კი არ უნდა აშენდეს, არამედ ერევანში, სადაც არის სომხობის ცენტრი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის სომხურმა** სექციამ მოაწყო კურსები ისტორიის, გეოგრაფიის და მართლმსაჯულების შესახებ.

◆ **გაზეთი „გორცი“** ახასიათებს იმ შეუფერებელ კილოს და ერთმანეთის უპატივცემლობას, რომელიც გამეფებულია სომხურ გაზეთებში: „არც ერთს გაზეთს არ შეუძლიან ილაპარაკოს მოწინააღმდეგეს შესახებ ცილის დაუწამებლად. ვინც უფრო მეტად ილანძღება და იგინება, მეტი სახელი აქვს დამსახურებული... ტყუილი პუბლიცისტის ხელობად გადაიქცა. აშკარა დამახინჯება ფაქტებისა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა... ყოველდღე ვხედავთ და ვკითხულობთ ამ ქირებს და ლანძღვას და ლამის შევეჩვიეთ და აღარ გვეუცხოვება“...

გორი

◆ ხუთშაბათს, 27 მარტს სახლიდან გამოსულა ბაღ. ბაღდასაროვის 13 წლის მოსამსახურე სონა კოშორიძე, მაგრამ შინ აღარ დაბრუნებულა. შეატყობინეს ადგილობრივ პოლიციას. ბავშვის კვალი ჯერჯერობით არსადა სჩანს.

◆ ქალაქის გამგეობა ნელ-ნელა ამშვენიერებს ქალაქს. ამ ჟამად ყველა ქუჩაზე ხეებსა რგავენ. რომ უსუფთაობით სავსე წყლის არხებსაც მოუვლიდნენ როგორმე, სწორედ კარგს იზამენ.

◆ 27 მარტს, საზოგადო საკრებულოს დარბაზში ტფილ. დრამატ. საზოგად. თეატრის სიმებიანმა ორკესტრმა კონცერტი გამართა. კონცერტის შემდეგ გამოცხადებული იყო ცეკვა „ტანგო“. ამან ხალხი საკმაოდ მიიზიდა. ბილეთების ფასი აწეული იყო. „ტანგო“ საზოგადოებას არ მოეწონა.

ბორჯომი

◆ **ცეცხლი.** ხელუხლებელ მამულის გარაჟს ელექტრონისაგან ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა ორი ავტომობილი, ერთი მოტოციკლი და სხვა და სხვა მანქანა, იარაღი, რომელიც ძმათა მალიშევების ქარხანას ეკუთვნოდა. ზარალი 8,000 მ.-დეა.

დუშეთი

◆ **მკვლელობა.** ს. ზენნაგორაში, ბედოშვილის სახლში, იორდანე მჭედლიშვილმა ბერდანის თოფით მოჰკლა მიხა ლავერაშვილი. მიზეზი რომანიული ნიადაგი იყო.

თელავი

◆ **არჩილ ჯორჯაძის** გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად წ.-კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობამ 10 მან. წიგნები გაუგზავნა ა. ჯორჯაძის სამშობლო სოფელ საბუეში მის სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკას.

სოფლად.

◆ **სოფელი ატენი.** სამშაბათს, 25 მარტს, ხალხის თანადასწრებით გადავიხადეთ პანაშვიდი ჩვენი სასიქადულო და სათაყვანებელ ადამიანის **არჩილ ჯორჯაძის** სულის მოსახსენებლად. ადგილობრივმა მღვდელმა ედილაშვილმა მდაბიო ენით, გააცნო ხალხს არჩილის მოღვაწეობა ჩვენ სამშობლოს წინაშე.

◆ **ს. წაღვერი.** კვირას 24 მარტს ს. კიმოთის მონასტერში **არჩილ ჯორჯაძის** გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდის წინ მღვდელმა ვ. გაბიჩვაძემ მიმართა ხალხს მოკლე სიტყვით და აუხსნა არჩილის ღვაწლი და ცხოვრება. ხალხი ბლომად დაესწრო.

შეცდომის გასწორება. კვირის ნომერში „ასოთ-ამწყობის ივ. მჭ.—ლის წერილში „ახალი ქართული ასოები“, რომელშიაც მთლად გაუგებარია ერთი წინადადება, მეოთხე გვერდის, მეექვსე სვეტზე მე-61 პწკარიდან ასე იწყება: „ასე რომ ხუთ ოთხ სვეტიან გაზეთის მაგივრად გამოვა სვეტიანი“. უნდა იყოს: **„ასე რომ ხუთ სვეტიანი გაზეთის მაგივრად გამოვა ოთხ სვეტიანი“** და სხ.

დასალის წერილი ტერიტორიალური ავტონომიის სასარგებლოდ

მოგვყავს ნ. საქარელის წერილი უცვლელად, რომელიც დაბეჭდილია **„ბათუმის გაზეთში“**.

„ვინც ცენტრალიზმის მომხრე
აქეთ გადმოდით, ვინც დეცენტ
ლიზაციის—იქით“—ასე ამარტ
დენ ნ-ის თქმით, რთულ კითხვას
ლილიზმი და ნაციონალიზმი. ას
გამარტივება საზოგადო მოვლ
იყო იმ დროს. მაგრამ საკმარისი
დაავლოთ თვალი ქართულ პრ
რომ მრავალ შემთხვევაში დღ
აღმოვაჩინოთ ეს ძველებური გ
ტივებული სიტყვა-პასუხი. ვინც
ტონომიის მომხრეა—აქეთ წამოდ
ვინც მისი წინააღმდეგია იქით—
ახლაც ისმის აქა-იქ, როგორც
ლიტიკურ მწერლობაში ისე სა
გადოებაში. ხოლო დღევანდელ
მდგომარეობა მაინც განსხვავდ
გუშინდელისაგან იმ მხრით, რომ
ტონომიის მომხრეობაც ორგ
შეიქმნა. ახლა რომ სთქვათ ეს
ის ადამიანი ავტონომისტია,
კიდევ არ გეცოდინებათ მისი ნა
ვილი ვინაობა ნაციონალურ სა
ში, ვინაიდან არის კულტურუ
ნაც. ავტონომისტი და პოლიტ
რი ნაც. ავტონომისტი, არის ექს
რიტორიალისტი და ტერიტორ
ლისტი. ამიტომ მარტივი ფორმ
ლაც რამდენადმე შეიცვალა თავ
შინაარსით. კულტურულ ავტონ
მიის მომხრენი აქეთკენ, ხოლ
ტერიტორიალური ავტონომის
იქითკენ—აი რა სახე მიიღო გამ
ტივებულმა აზროვნებამ დღევანდ
პრესაში. აშკარაა, ეს არც წ
უწყობდა და არც დღეს უწ
ხელს სადავო რთული კითხ
სინათლეზე გამოტანას. პირიქით,
კიდევ სქელ ბურუსში ჰხვევს
და უბნევს გზა-კვალს მოწინავე
ვებსაც კი. ავტონომიის მიღება
ვის თავად ისე არ ანაციონალისტ
კაცს, როგორც მისი მიუღებლ
არ მოასწავებს მუშა ხალხის სო
ლური იდეალების ალსრულებას,
კოლექტივისტობას.

ზოგიერთები გულწრფელად
შობენ—ავტონომიის დებულება
მივიღეთ ავირევით ჩვენ სოციალ
მოწინააღმდეგეებში, გასაყოფი
ღვარი აღარ მოინახება და გავით
ფერდებით. ხალხს ერთი ფერის
ნებით ყველანი და ვეღარ გვიცნ
სო. თავი და თავი შეცდომა აქ
არის, რომ აწერენ თანამედროვე
ზოგადოებაში გადამჭრელ როლს
ციონალურ კითხვას, და ივიწყებ
სოციალურ-ეკონომიურ კითხვებ
რომელთა მიხედვით ყალიბდებ
პოლიტიკური პარტიები. ავტონო
არ ნიშნავს თანამშრომლობას
ციალურ და ეკონომიურ ცხოვრ
ში. და თვით ნაციონალური
ავტონომიის სახით სხვა და სხვა
ლიტიკურ ჯგუფებს სხვა და
ნაირად ესმისთ. ვინც ამბობს, ავტ
ნომია ან სხვაგვარი პასუხი ეროვნ
კითხვაზე აგვრევსო, მას ცლახად
შესწავლილი დღევანდელი უსწო
მასწორობაზე დამყარებული წყობ
ლების სტრუქტურა და ამავე დრო
დავიწყებული აქვს ის, რაც ხდე
საერთაშორისო ცხოვრებაში შ
ხებ ნაციონალურ და სოციალუ
მოძრაობათა ურთიერთობისა. ხა
ხი ვერ გაიგებს სხვა განსხვავებ
ესეც შეცდარი თქმაა, რადგან ხა
ხი ხანგრძლივად არასოდეს არ ჰ
ლატობს თავის ინტერესებს და იმას
ადვილად მიჰხვდება, თუ ვინ არ
მისი სოციალური მტერ-მოყვარ
მიუხედავად ეროვნული კითხვის
გვარად თუ იმ გვარად გადაჭრ
ესეც არ იყოს, პოლიტიკური პარ
ხელმძღვანელი და გამათვითცნობ
რებელია მასის და არა პასიურად
მიმყოლი და მისი ჩამორჩენის გა
მხატველი. პოლიტიკური პარტ
პოლიტიკურ შეგნებას მოასწავე
და მას არ ეკადრება შეუგნებლობ
წინ დახაროს დროშა და მით და
სამაროს თავისი ისტორიული
სება და დანიშნულება. მაშასადამე
თუ ფართო მასას არ ესმის (ვე
რობითად ვლაპარაკობ), რომ ერო
ნული კითხვის ასეთი თუ ისეთი გა
დაჭრა მისი ინტერესებისთვის
მომავლისთვის აუცილებლათ საჭ
როა, რომ ეს ამავე დროს საუკეთ
სო პირობაა სოციალურ მონობა
თან ბრძოლის და მისი ინტეგრალუ
რი განთავისუფლების, მოწინავე ხელ
მძღვანელი ჯგუფების პირდაპირ
მოვალეობაა სიმართლის სიტყვით
და მაგალითებრივი ქადაგებით
უგნებლობის ნისლი გადაჰყარ
ხალხის გონებას და მით გაამარ
ლოს თავისი არსებობის მიზანი.

ჩვენში, დასელთა შორის, თუ
ვცდები, სამი მთავარი მიმდინარ
ბაა ნაციონალური კითხვის შე
ხებ, სამი სხვა და სხვა პასუხია
გადასაწყვეტად. პირველი მიმდინა
რეობა 1903 წ. მიღებულ პროგრა
მასთან არის დაკავშირებული
იქ გამოთქმული პასუხი სავსებით

მაკმაყოფილებულად მიაჩნია აღძრული კითხვის მოსაგვარებლად. მეორე მიმდინარეობა უკავშირდება ავსტრიაში შემუშავებულ თეორიულ და პრაქტიკულ შეხედულებებს რომლებიც მოკლედ ასე გამოითქმის: ექსტერიტორიალური ანუ ნაც.-კულტურული ავტონომია. მესამე მიმდინარეობას არ აკმაყოფილებს არც პირველი, არც მეორე და აღიარებს ტერიტორიალურ პრინციპს მიუცილებლად ეროვნულ კითხვის გადასაჭრელად. რა თქმა უნდა, აქედან გამორიცხული არ არის ამა თუ იმ ექსტერიტორიალური ერის ნაციონალური უფლებრივი ცნობა, თუ ეს აუცილებელი და მოთხოვნილი იქნება და დაინტერესებულ მხარის მიერ.

„ხომლის" ერთ-ერთ ნუმერში, ამ რამდენიმე წლის წინად „ანი" სწერდა, რომ პარტიულ დადგენილებაში პოლიტიკური ავტონომია, უარყოფილია, როგორც საქართველოს. ისე კავკასიის, ხოლო კულტურულ ავტონომიაზე არაფერია ნათქვამი. ასე რომ ეს საკითხი კიდევ საკამათოაო, მას უკან ამ მხრით შესამჩნევი ცვლილება მოხდა. კავკასიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა მიიღეს ნაც.-კულტურული ავტონომია. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს იყო შედეგი მოწინავე მასაში ხანგრძლივი კამათის და კოლექტიური აზროვნებისა. კითხვა არ ყოფილა გადატანილი არამც თუ ფართო, ვიწრო წრეებშიც კი. შეიძლება ეს მოსახერხებელი არ იყო მაშინ, და ამიტომ შემცდარი იქნება ვინც იტყვის—ეს კითხვა გაცნობიერებული მასისათვის გარკვეულიაო. ამას იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ განსაკუთრებით აღვნიშნოთ კამათის საჭიროება ისე კი, რომ სხვა საჭირბოროტო ყოველდღიურ კითხვების გადაჭრაც არ დაბრკოლდეს და არ დაგვიანდეს. აღძრული კითხვები ჯერაც საკამათოა. ამისათვის გადაჭრით ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ რომელ მიმდინარეობას ვინ და რამდენი ემხრობა ამ კითხვების ასე თუ ისე გადაწყვეტის შესახებ. „აზრმა" კი თამამად განაცხადა: ჩვენ შორის სულ რამდენიმე პირია ტერიტორიალისტიო. ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ ეს სინამდვილეს შეესაბამებოდეს. რამოდენიმე პირი ტერიტორიალისტი ალბად ყოველთვის იყო ჩვენ შორის. ამ 6—7 წ. წინად უკვე მთელი ჯგუფი მუშაობდა ლიტერატურაში ვლ. დარჩიაშვილის მეთაურობით საქართველოსთვის ტერიტორიალისტური დებულების დასაცავად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ის კულ.-ნაც. ავტონომიასაც იცავდა. უტერიტორიო ნაციებს (მაგ. სომხობა)—ნაც.-კულტურული ავტონომია, ხოლო ტერიტორიალურ ნაციებს (მაგ. ქართველობა) ნაციონ.-ტერიტორიალური ავტონომია—აი მოკლედ ამ ჯგუფის შეხედულება, „ჩვენ კვალში" გამოთქმული და დასაბუთებული. დღეს გაცილებით უფრო მეტია ტერიტორიალისტი, ვინემ ზოგიერთებს ჰგონიათ, „სტატისტიკური ცნობების" მოყვანას, სანამ ისინი შეუმუშავებელია, მოვერიდოთ. ვინ რამდენია მაშინ გამოირკვევა, როცა სხვადასხვა მიმდინარეობა ჯეროვანად გაშუქდება მოწინავეების გონების თვალწინ და აწონ-დაწონილი, მოფიქრებული და „დამოუკიდებელი" გადაწყვეტილება იქნება გამოტანილი მათ შესახებ. ეს კი დღესავით ნათელია: ამა თუ იმ მიმდინარეობამ, რომ დღევანდელი უმრავლესობა ვერ მიიმხროს, იმას არ ჰნიშნავს, რომ იგი „კანონიერებას" მოკლებულია და უფლება არ აქვს იბრძოლოს ერთეულში ხვალინდელი უმრავლესობის მისამხრობად და და გასამარჯვებლად".

გორის ქალაქის გამგეობაში

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, სამხედრო უწყება ჯარისთვის „პოლიგონსა" ჰმართავს შუა ქართლში. უნდა აყრილიყო თორმეტი სოფელი. ეხლა სხვა და სხვა მოსაზრებით „პოლიგონი" გორისაკენ წამოსწიეს და ზოგი ახალი სოფელი მოჰყვა შიგ, ზოგი კი აყრისაგან განთავისუფლდა. უნდა აიყაროს ათამდე სოფელი. „პოლიგონისათვის საჭიროა 152 ოთხკუთხ. ვერსი. ამაში ქალაქ გორის მამულიც შედის, სივრცით რვაას დესეტინამდე. ამ დღეებში სამხედრო უწყების კომისიაც ჩამოვიდა აქ, მოიარა სოფლები, ადგილები, რომლებიც მოჰყვა „პოლიგონის" საზღვრებში და სხვათა შორის, ქალაქსა სთხოვა უფასოდ დაეთმოთ მათთვის ხსენებული მამული. ამის გამო ქალაქის მოურავმა ზ. ქიტიაშვილმა 27 მარტს ხმოსანთა საგანგებო კრება მოიწვია, რომელსაც სამხ. უწყ. კომისიაც დაესწრო. რაკი საქმე სახუმარო არ იყო და მისი გადაჭრა ხმოსნებმა ვერ გაბედეს თავისად, გადასწყვიტეს მეორე დღეს მოეწვიათ ზოგიერთი უფრო გამოცდილი მოქალაქენი და მათთვის ამ საქმის გამო რჩევა ეკითხათ. 28 მარტს ქალაქის სამმართველოს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. აქ იყო ვაჭარიც, მღვდელიც, ჩარჩიც, ხელოსანიც, მდაბიო მოქალაქეც, მასწავლებელიც, მოხელეც... კრება საღამოს რვა საათზე დაიწყო.

ქალაქის მოურავი **ზ. ქიტიაშვილი.** ამ ორი დღის წინად ჩამოვიდა კომისია და მოგვთხოვეს შეგვეტყობინებინა,—რამდენი აქვს გორს მამული და შეგვიძლიან თუ არა მათ დავუთმოთ იგი უფასოდ. დღეს შემოიარეს სოფლები, დაათვალიერეს ის მამულები, რომელიც უნდა მოჰყვეს „პოლიგონის" საზღვრებში, მაგრამ რაკი მე ნება არა მქონდა ამ საქმის ჩემად გადაწყვეტისა, მოგიწოდეთ თქვენ, რომ მოვილაპარაკოთ ერთად, ავწონ-დავწონოთ საქმე და ისე გადავწყვიტოთ, როგორც ეს ჩვენთვის საუმჯობესო იქნება, ჯარი უნდა მოვიდეს 30—40,000 კაცი. იდგება ოთხი თვე—მაისიდან ენკენისთვემდე. პოლიგონი სამუდამოა. წავლენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯარი უმაღლესად გადაიყვანეს სადმე. ერთი კორპუსი ქ. ალექსანდროპოლთან იდგება. ალექსანდროპოლს პოლიგონისათვის 200 დესეტინა საქალაქო მამული დაუთმია უფასოდ. გთხოვთ გამოსთქვათ თქვენი აზრი.

ნ. ვარძელაშვილი. (თერძი) ჯარი რომ წავა, ვის დაასახლებენ მაშინ მამულზე?

ზ. ქიტიაშ. ეგ თვითონაც არ იციან წავა როდისმე?

ნ. ქერეჭაშვ. (ვაჭარი) რამდენ სოფელსა ჰყრიან?

ზ. ქიტიაშვ. ათ სოფლამდე.

(ხმა—„ცოდონი არ არიან?" (სიცილი).

ზ. ქიტიაშვ. გამოვარკვიოთ—მუქთად მივცეთ მამული, თუ ფასი გადავახდევინოთ.

ხუდადოვი. თუ მიცემაა მივცეთ უფასოდ რადგან მამულში რომ ფასი გამოვართვათ, მერმე ვინიცობაა რომ ჯარი წავიდეს, იმ მამულის შესახებ ჩვენ აღარავინ რასა გვკითხავს და იქ „პერესელენცებს" ჩაასახლებენ.

დ. ოდიაშვილი (ნაფ. ვექ. თან.) ამ აზრის წინააღმდეგია, მაგრამ რაკი უარის თქმა შეუძლებელია, მოითხოვს მამული მიეცეს მიყიდვით. მუქთად გადაგდება ამოდენა მამულის არ შეიძლება. ალექსანდროპოლი მოიყვანეს აქ მაგალითად. იქნება ალექსანდროპოლს მამული გადასაგდები ჰქონდა? ჩვენი მამული კი იჯარით არის გაცემული. აქ მამულით მდაბიო ხალხი სარგებლობს. რახან ამ მამულს სხვას მივცემთ, უნდა მივცეთ კარგ ფასში, რომ გორი არ დაზარალდეს. აქა სთქვეს—მამული მომავალში ჩვენ დაგვიბრუნდებაო. ეს შეუწყნარებელია; როდის მოხდება ეს ათი, ოცი, ასი წლის შემდეგ? დაგვიბრუნდება კი, ვინ იცის? ზოგი იმას იტყვის, ვაჭრობა გაიზრდებაო. ვინც ამ აზრისაა, სცდება. ჯარი რომ მოვა, თან ვაჭრებიც მოჰყვებიან. ესეც რომ არ იყვეს, გორში ვაჭრები ბევრია? თითებზე ჩამოითვლებიან. მდაბიო ხალხისათვის კი ჯარის მოსვლა საზარალო იქნება. ცხოვრება მამასისხლად გახდება. რახან მიცემაა, მივცეთ მამული, მხოლოდ კაი ფასი გადავახდევინოთ (ტაში).

ამირაღოვი (ვაჭარი) ხელების ქნევით და დიდი რიხით აღწერს ჯარის მოსვლის მნიშვნელობას და ამბობს, რომ გორი აყვავდება ამითო და გლეხობაც წელში გაიმართება, რადგან მწვანილს, სანოვაგეს კარგ ფასში გაჰყიდისო (!). მოითხოვს მამული მიეცეს სამხედრო უწყებას უეჭველად უფასოდ.

ალ. მელიქიშვილი (ქალ. თავ. თანაშ.) მომხრეა უფასოდ მიეცეს უწყებას მამული. პოლიგონი დროებითია, ჯარი მხოლოდ ოთხი თვით იდგება აქ და დანარჩენი რვა თვე კი ჩვენ შეგვიძლიან ისევ ვისარგებლოთ. ამას გარდა ჯარის მოსვლით ვაჭრობა ძალიან აიწევსო.

ვ. მუჩაიძეც (ვაჭარი) დიდ მნიშვნელობას აწერს ჯარის მოსვლას—ვაჭრობა გაფართოვდებაო. მოითხოვს მივცეთ მამული, ხოლო სამაგიერო მამული მოვთხოვოთ აქვე სადმეო.

ნ. ქერეჭაშვ. მამული კიდეც რომ არ მივცეთ, ჩვენ არავინა გვკითხავს და ჯარი მაინც მოვა. ქალაქი დავალიანებულია საკმაოდ და რითი გადვიხადოთ ეს ვალი, რომ ჩვენ მამულები ასე მუქთად ვურიგოთ. მივცეთ მამული, მაგრამ ფასით.

დ. ონიაშვილი. ჩემი სიტყვები ზოგ ვაჭარს არ მოეწონა, რა ვუყოთ, რომ ვაჭარი არა ვარ და ისე არა ვსჯი, როგორც ისინი. ერთმა რომ 30 საყელო გაჰყიდოს და მეორემ 40 ველოსიპედი, ეს კიდევ ვაჭრობის გაფართოვებას არა ნიშნავს, თუ გასუქდება ორი, უმრავლესობას ყელში წაეჭირება...

ვ. როსტევანოვი (ვაჭარი). მამული უეჭველად უფასოდ უნდა მივცეთ. გორი ჯარის მოსვლით ძალიან იხეირებს. ვაჭრობა გაიწევს. რას გვაძლევს ეხლა მასიცი? რას გვაძლევს, მაგალითად, კვერნაკი? რა, ვანილის ტყე იქ თუ ზაფრანა მოდის? (სიცილი) „მანევრების" დროს თვითონ ხალხმა სთხოვა ნამესტნიკს ჯარი ხშირად მოსულიყო ხოლმე აქ...

ზ. ქიტიაშვილი. უკაცრავად, მე არ მახსოვს ვინ სთხოვა მაგგვარი რამ. არ შეიძლება დაასახელოთ? (გადაჭრილ პასუხს ვერავინ აძლევს).

როსტევანოვი განაგრძობს სიტყვას და ამბობს, თუ ფული მოვთხოვეთ, ჯარი შეიძლება სხვაგან წავიდეს და ამით გორს დიდი ზარალი მოუვაო.

ალ. მელიქიშვილი გრძელ სიტყვაში კვლავ იმეორებს თავისას და ამბობს. მამული შემოსავალს არას გვაძლევს, ჯარი მხოლოდ ოთხი თვით იქნება: „პოლიგონი" ვაჭრობას არას არგებსო. ჯარი რომ მოვა მერე ქერს, რამეს, ჯიბით ხომ არ მოიტანენ? („ვაგონებით მოიტანენ, ვაგონებით;" ისმის ხალხიდან. სიცილი) რვა თვე მამული ისევ ჩვენ ხელთ იქნება. ჯარის სამუდამოდ წასვლის შემდეგ კი ისევ უკან დაგვიბრუნდება. უფასოდ უნდა მივცეთ მამული...

დ. მაჭავარიანი (ქალ. თავ. თანაშ.) ვრცლად აცნობს დამსწრეთ საქმის ვითარებას. ჯარის მოსვლასაო, ამბობს იგი კარგი მხარეც აქვს, ცუდიც. ვაჭრობის მხრივ სასარგებლოა. მართალია, მოიჯარადრენი თან მოჰყვებიან, საკუთარი დუქნები ექნებათ, მაგრამ უმთავრესად ფული აქ, გორში დატრიალდება. მეორეს მხრივ საზიანოა. ამას უნდა შეეწიროს ათი სოფელი. ეს ხალხი აქ უნდა მოგვაწყდეს. ჩვენ არა გვაქვს სამრეწველოები, ქარხნები, რომ მათ სამუშაო მივცეთ; ორი გროშით, რომელსაც მათ მისცემენ სახლ-კარში, ისინი საქმეს ვერ დაიწყებენ, ვაჭრობას, ხელობას ვერ მოჰკიდებენ ხელს; ამისათვის არ შესწევთ მათ ცოდნა, გამოცდილება და ძალაუნებურად უნდა გაპოგანოვდნენ. ამ მხრივ „პოლიგონი" საზარალოა. ჯარის მოსვლა სარგებლობას მოუტანს ქალაქს, მაგრამ ზარალი უფრო დიდი იქნება. ცხოვრება გაძვირდება და დატაკების რაზმი გაიზრდება. მაგრამ ჩვენ ამას არავინა გვკითხავს და ასეა თუ ისე უნდა გადავჭრათ—მივცეთ მამული უფასოდ თუ ფასი გამოვართვათ. აქა სთქვეს—მამული შემოსავალს არას იძლევაო. მართალია, დღეს მამული ქალაქის კასას მცირე შემოსავალს აძლევს, მაგრამ მომავალშიც ხომ ასე არ იქნება. მომავალში საკმაოდ დიდ შემოსავალს მოველით ამ მამულებიდან (მოჰყავს საბუთები). ზოგიერთმა სთქვა, მივცეთ მამული უფასოდ, თორემ, სულ ერთია ძალით წაგვართმევენო. რათა გგონიათ აგრე? მამულს ძალით ვერავინ წაგვართმევს. არსებობს კანონი და ამ კანონის ძალით ძალს ვერავინ დაგვატანს;—თუ უნდათ, შეუძლიანთ შეისყიდონ. აქა სთქვეს ისიც, რომ ჯარი მხოლოდ ოთხი თვე იქნება, და დანარჩენ რვა თვეს ჩვენვე შეგვიძლიან ვისარგებლოთო. ტყუილია. ჩვენს მამულზე შენობებს ააგებენ, თოფხანებს, საწყობებს გააკეთებენ და ჩვენ „პოლიგონის" საზღვრებში აღარავინ შეგვიშვებს...

დ. ონიაშვილი. სიამოვნებით მოვისმინეთ ბ. მაჭავარიანის სიტყვა. ბევრი რამ ახალი გავიგეთ. წელან აქ ერთმა ბრძანა—ჯარი ოთხი თვით მოვა მხოლოდ და რვა თვით ისევ წავაო, თითქოს ჩიტები იყვნენ, რომ მოფრინდნენ და გაფრინდნენ ისევ. ნამდვილად კი თურმე ბარგი-ბარხანით, საშვილიშვილოდ მოდიან. ვაჭრობის შესახებ კიდევ უნდა ვსთქვა, რომ ჯარს ვაჭრობა არსად აუყვავებია. რუსეთზე მეტი ჯარი არავისა ჰყავს, მაგრამ ისე არსად არ არის დაცემული ვაჭრობა-მრეწველობა, როგორც აქ. ამისათვის სულ სხვა ფაქტორები არსებობენ. კანონი არსებობს, რომლის ძალით შეგვიძლიან მამული მივყიდოთ და ჩვენ კი უფასოდ ვაძლევთ.

ნ. ვარძელაშვ. ჯარის მოსვლა ჩვენს ვაჭრობას ფეხზე ვერ წამოაყენებს. თან ისეთი მოიჯარადრეები მოჰყვებიან, რომ ჩვენი ვაჭრებისთანა იმათ ნოქრებში ეყოლებათ. უმრავლესობისათვის კი დიდი უბედურება მოჰყვება. უნდა გადაასახლონ ათი სოფელი სადღაც ყარსისკენ და იქ სულ უნდა ამოიხოცნონ. ჩვენ მამულზე დიდი ფასი უნდა მოვთხოვოთ, თუ არ უნდათ, დეე სხვაგან წავიდნენ, იმ ათ სოფელს მაინც ვიხსნით უბედურებისაგან.

ლობჯანიძე. თუ მამულს პირიან ფასში არ დავუთმობთ, შეიძლება „პოლიგონი" ჩვენი საზღვრებიდან გადასწიონ და მეტი სოფლები აჰყარონ. ამიტომ ფასი ისეთი უნდა დავადოთ მამულს, რომ სამხედრო უწყებისათვის იგი მისაღები იყვეს.

ზ. ქიტიაშვილი. სოფლებს აჰყრიან თუ არა, ამას ჩვენ არავინა გვკითხავს. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, მამული სამხედრო უწყებას უფასოდ დავუთმოთ, თუ ფასი გამოვართვათ. ჯარის მოსვლას კარგი მხარეები აქვს. ვაჭრობა ფეხზე წამოიწევს, აფიცერთა ოჯახები გორში დასახლდებიან, აგარაკები გაიმართება, პოლიცია გაძლიერდება ფოსტა-ტელეგრაფი გაფართოვდება ქალაქი გამშვენიერდება, გასართობი ბევრი გვექნება. მაგრამ „პოლიგონი" ზარალსაც მოგვიტანს. ეხლა გორში ვართ 20,000 სული, უნდა მოვიდეს 40,000 ჯარის-კაცი, მაშასადამე თვითო სულზე ორი ჯარის-კაცი მოდის ჯარში გადამდებ სენით ავადმყოფი ძლიერ ბევრი იქნება და ეს სენი მოედება ჩვენს ქალაქს, სოფლებს, იმ სენთან ბრძოლა კი ქალაქს ძალიან ძვირად დაუჯდება. ამას გარდა შეწუხდება მდაბიო ხალხი, ცხოვრება ძლიერ გაძვირდება. კარგი არც სოფელს მოელის. ჯარის-კაცები შეაწუხებენ გლეხებს ვენახებში და სხვ. შესვლით. თუ ამას სჩადიან აქ, რას იზამენ სოფელში? მაგრამ ჩვენ ამას არავინა გვკითხავს, ჩვენ მხოლოდ უნდა გადავწყვიტოთ ფასით თუ უფასოდ დავუთმოთ მამული? ქალაქი ძალიან დავალიანებულია, წარმოიდგინეთ გადასახადი ძაღლებსაც კი დავადეთ და უფასოდ მამულის დათმობა ჩვენთვის სახეირო არ იქნება. მივცეთ წინადადება ან იჯარით აიღონ მამული, ან შეიძინონ საკუთრებად.

კრება რამდენიმე ხნით სწყდება. დარბაზში დიდი აურ-ზაური, ყვირილია. ჩარჩ-ვაჭრები მოითხოვენ მამული უფასოდ მივცეთო, დიდი უმრავლესობა ამის წინააღმდეგია.

კრების განახლებისას თავმჯდომარე სთხოვს კრებას—ვისაცა სურს უფასოდ დაეთმოს მამული ხელი ასწიოს. დარბაზში მდუმარება ჩამოვარდება. ხელს არავინა სწევს. ამგვარად ერთხმად გადასწყდა, სამხედრო უწყების მამული ყიდვით დაეთმოს.

ამის შემდეგ იმართება ხმოსანთა ცალკე კრება. ხმოსნებმაც ფარული კენჭის ყრით ერთხმად გადასწყვიტეს ესევე, ე. ი. მამული უწყებას მიჰყიდონ. ისმის ტაში. დასასრულ ქალაქის თავი წინადადებას აძლევს დამსწრეთ—შეაფასონ ქალაქის მამული, ახლავე, რადგან სამხედრო უწყება ახლავე მოითხოვს პასუხსო. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო ამ ჟამად. გადასწყვიტეს ამოირჩიონ კომისია, რომელიც ქალაქის მმართველობასთან ერთად დააფასებს მამულს და შეატყობინებს ვისაც ჯერ არს. კომისიაში შევიდნენ: ქალ. დამფასებელი ა. მთვარელიძე, ქალ. იურისკონსულტი დ. ონიაშვილი და თ. ანდრონიკაშვილი. მოქალაქეთაგან—ეგნატაშვილი.

ამას გარდა კერძოდ მიიწვიეს მომრიგ. შუამავალი მ. ერისთავი, მარუთოვი და ხარატიშვილი. დასასრულ ქალაქის თავმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადა და კრება დაიშალა.

ხ. გ.

სად წავიდეთ?

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, სამხედრო უწყებას? გადაუწყვეტია ჯარისათვის „პოლიგონი" მოაწყოს ქართლში და ამისათვის აჰყაროს თორმეტი სოფელი. ამ ამბავმა თუ ერთის მხრით ფრთები შეასხა აქაურ ჩარჩ-ვაჭრებს, მეორეს მხრით თავ-ზარი დასცა ადგილობრივ გლეხობას. შეიქმნა გოდება და ტირილი, ოხვრა და ვიში, საყვედური მთავრობისადმი და დატირება თავის ბედშავი მდგომარეობისა... სწუხდნენ, ჰგლოვობდნენ, მაგრამ მაინც იმედიანობდნენ—როგორ, სად გაგონილა, რომ ხალხი აჰყარონ თავის მიწა-წყლიდან! არა, მთავრობა ამდენი ხალხის ცოდოს არ დაიდებს და წყალში არ გადაჰყრის ჩვენს უმწეო ცოლ-შვილსაო. ერთი ხანობა თითქოს მისწყდა კიდეც „პოლიგონის" შესახებ ხმა—მთავრობამ განზრახვა უკან წაიღოვო და უფრო განცხოველდა თვალცრემლიან გლეხობის იმედიანობა, მაგრამ... მალე ისევ გაისმა გლოვა ასაყრელად განმზადებულ გლეხთა გორის და ეხლა უფრო გულის მომკვლელი, შესაზარი, უიმედო....

პირადად ვიხილე ამ მწუხარების სურათი. 28 მარტს ერთი უფლისციხელი ჩემი კარგი ნაცნობი 60 წ. გლეხი შემხვდა. ხელმოკლეა და რვა წვრილი შვილი ჰყავს. კვლავ [illegible], მხიარული, ეხლა სახე-მოღუშული, დამმარებული იყო. ვკითხე სოფლის ამბავი, ოჯახი.

მის დაღარულ სახეს უფრო სქლად გადააფარა სევდამ თვისი საფარი, ტუჩები აუთამაშდა, სქელი, შეთეთრებული წარბები წამოიშალა, და, ჩემდა საპასუხოდ, ორი ცრემლი სწრაფად ჩამოგორდა სახეზე...

—რაღა გითხრა, ჩემო სანდრო, რაღა გიამბო,—დაიწყო მან გულამოსკვნით.—გეცოდინება ჩვენი უბედურების ამბავი...

ჩვენი სოფლისთვის უკვე გამოუცხადებიათ—უნდა აიყარნეთო... მეც ეხლა გავიგე... ეს სამი-ოთხი დღეა შინ არა ვყოფილვარ... ბატონთან ვიყავ მეჯვრისხევში ფულის ჩასაბარებლად... აი ეხლა მითხრეს ჩვენებურებმა—ერთმა ღენარალმა უკვე გამოგვიცხადა აყრაო. ვაიმე, დაღუპულო ოჯახო, ვაი პაწია შვილებო, ვაი მამა-პაპის შესაგინებლად გამზადებულო საფლავო!..

— ორმოცი წელიწადია,—განაგრძო გლეხმა სლოკინით,—ორმოცჯერ არ დამისვენია... ყოველი კვალი მიწისა, ყოველი კუთხე—ვენახისა ოფლით, სისხლითა მაქვს მორწყული... ღამე დღედ მიქცევია და დღეს ჩემთვის ღამეობა გაუწევია, რომ მიწის გულიდან ამომელო საზრდო და ხმელი პურით გამომეკვება რვა წვრილი შვილი, თავს ვევლებოდი საკუთარ ოფლით გაპოხიერებულ ვენახის ორ კვალს, წმინდად ვინახავდი და ვიცავდი შეგინებისაგან დედ-მამის, შვილის, შვილი-შვილის საფლავს და... ეხლა მეუბნებიან—აიყარენით, აიკიდეთ გუდა-ნაბადი და წადით სადაც გინდათო...

ვეღარ განაგრძო ლაპარაკი, გული ყელში მოებჯინა და ცრემლად გადმოთხეულმა ვარამმა უხვად დაულბო თეთრი, სქელი წვერი.

აიყარენით, წადითო, განაგრძო მან ნელ-ნელა და თან დაგლეჯილი ჩოხის კალთით მოიწმინდა ცრემლები, რომლნიც მისდა უნებურად ერთი-მეორეზე სწრაფად ჩამორბოდნენ მის გალურჯულ სახეზე.

— მერე სად წავიდეთ, ვისთან, ვის შევაფაროთ თავი?.. შენი ჭირიმე, შენ ე გაზეთები მოგდის, არა იცი რა, არა სწერენ ნასწავლი ხალხი, მართლა აგვყრიან? არ ეჯერებოდა კიდევ ჩემს მოსაუბრეს და, თითქოს ჩემგან ელოდა თავის მწარე ბედის გადაჭრას, ლმობიერებით შემომყურებდა ცრემლიანი თვალებით.

ჩემთან სხვა ორი-სამი მეგობარი კიდევ იყო. მწარედ მოგვწოლოდა გულს სევდა, ათასგვარი მწარე ფიქრი გვიტრიალდება თავში, თავები ჩაგვეღუნა და დუმილით ვუპასუხებდით გლეხის გულიდან ამონახეთქ მწარე ძახილს...

გლეხი კი ისევ სტიროდა, სტიროდა და ამ ტირილში ჰლესავდა თვის მწარე ხვედრს...

როგორც შეგვეძლო ვანუგეშეთ, გავამხნევეთ. იგი დუმილით ისმენდა ჩვენს უიმედო ნუგეშის ცემას და მხოლოდ დრო-გამოშვებით, მწარედ წამოიკვნესებდა.

— გვითხარით, გვასწავლეთ სად წავიდეთ, ვის მივმართოთ, ვის შევაფაროთ თავი? **სანგანიძე**

მუშათა ცხოვრება

ჩვენში.

ტრამვაის მუშათა ცხოვრებიდან.

31 მარტს დილით ექვს საათზე პარკში დანიშნული იყო ტრამვაის მოსამსახურეთა კრება. კრებას განსახილველი ჰქონდა სამი საკითხი: 1) საზამთრო ტანისამოსის საკითხი. დირექციასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით ტრამვაის მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ განსაზღვრულ ნომრის მაუდის ტანისამოსი ამისთვის ტრამვაის მუშებს ამორჩეული ჰყავნდათ კომისია, რომელსაც ევალებოდა მატერიის ღირსების შემოწმება; როგორც ეხლა გამოირკვა, მუშებისათვის დაურიგებიათ დაბალი ხარისხის მაუდი და არა ის, რომელიც ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული. მუშებმა კომისია აირჩიეს [illegible] წვრილებითი გამოსარკვევად. კომისიას დავალება შეუსრულებია და კრებისათვის უნდა წარედგინა მოხსენება. პოლიციამ კრებას ნება არ მისცა ამ საკითხს შეჰხებოდნენ. როგორც ხმები დადის ამ საკითხში ჩირქი ეცხება მოსამსახურეთა მიერ ზოგიერთ არჩეულ პირს. ეს საკითხი მაინც ფართო კრებისათვის უცნობი დარჩა. მეორე საკითხი, რომელიც კრებამ განიხილა იყო ტრამვაის ვაგონების წესიერი მიმოსვლა. თუმცა ტრამვაის მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ, საუბედუროდ უნდა ითქვას, რომ ყველა პირობა წესიერად არა სრულდება. მაგალ., სამუშაო დღის განსაზღვრა. ხელშეკრულების თანახმად ზამთრობით უნდა იმუშაობდნენ 8 საათსა, ზაფხულობით კი 9 საათს. მიუხედავად ამისა მუშებს თითო მორიგეობაზე ნახევარ საათით მეტი მუშაობა უხდებათ. აი ამ საკითხის მოწესრიგება ჰსურდა მუშებს. უკანასკნელი ვაგონი ეხლა პარკში მიდის 11 საათზე, იმ დროს, როცა თერთმეტის ნახევარზე უკვე პარკში უნდა იყოს დაბინავებული; ზაფხულობით თორმეტის ნახევარზე უნდა იყოს დაბინავებული ყველა ვაგონები; გამოდის, რომ ღამის 1 საათზეც არ არის შეჩერებული ტრამვაის მიმოსვლა. დირექცია თავს იმით იმართლებდა, რომ ქალაქთან ასეთი პირობა აქვს დადებული. მუშებმა აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა ქალაქის თვითმართველობასთან გაეგო დაწვრილებით ეს პირობები. თვითმართველობას უთქვამს რომ ჩვენის პირობით ღამის 11 საათზე ვაგონი უკანასკნელ პუნქტიდან უნდა გამოდიოდეს და არა პარკიდანო. დირექციაც მოსამსახურეებსა სთხოვენ დღესასწაულების გამო. აღდგომის ოთხშაბათამდე განაგრძოთ მუშაობა ძველებურად ე. ი. ზედმეტად ემუშავნათ, კრებამ ეს წინადადება არ შეიწყნარა და გადასწყვიტა პირველ აპრილიდანვე, ე. ი. დღეიდან მუშაობა წესიერად დაიწყოთ, როგორც ამას მოითხოვს დირექციასთან დადებული ხელშეკრულება.

მესამე საკითხი იყო საზაფხულო ტანისამოსის საკითხი.

კრებამ გადასწყვიტა აირჩიოს საგანგებო კომისია მუშა—ექსპერტებისა, რომელთაც დაევალებათ შეძენა სათანადო ღირსების ტანისამოსისა. თუ საქონელს არ ექნება ზედ დასმული ბეჭედი ექსპერტებისა, ისე არ შეიძლება გადაეცეს მკერვალს.

რუსეთში.

ახალი ავადმყოფები. როგორც მუშები ამბობენ, „ნოვი აივაზის" ქარხნის მექანიკურ სახელოსნოში ავადმყოფობის შემთხვევების დროს, იქ სიცხე 35 გრადუსი ყოფილა. ავადმყოფი მუშები მორჩენის გზაზე არიან.

ოტხენის ბამბეულის საქსოვ ქარხანაში ახალი სნეულება გაჩნდა. ავადმყოფებს ხელ-ფეხი ეკვლანქებათ, გული უღონდებათ და ხერვები ეშლებათ. ქარხანაში ექიმები და პოლიცია დაიბარეს. მათ მუყაითად დაათვალიერეს მთელი ქარხანა, მაგრამ ვერავითარი ქიმიური ობსტრუქციის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს.

მასიურმა ავადმყოფობამ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილების ყურადღება მიიპყრო. მან უბძანა საქარხნო ინსპექტორებს ქარხნებში მედიკური ზედამხედველობა გააძლიერონ. აზრადა აქვთ ქარხნები დაათვალიერონ, რომ ანტისანიტარული და ანტიჰიგიენური პირობები გამოიკვლიონ. შესაძლოა, ამ მიზნით დაარსონ საგანგებო კომისიები, რომლებშიაც შევლენ საქარხნო ინსპექციისა და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები.

მალოოხტენის მანუფაქტურის მუშები აცხადებენ, საქარხნო სამკურნალო არა გვაქვს, და როცა მუშები ავადა ხდებოდნენ, გამოჰყავნდათ ისინი და პირდაპირ თოვლში ჰყრიდნენო. ბევრი მათგანი გაცივდა, და ეხლაც ავად არიანო.

წერილი ქართლიდან

ჩვეულებრივ მომიხდა დავლა ქართლის სოფლებისა და უმეტესად კი ამ სოფლებისა, სადა ამას წინად ბ-ნ მანთაშევმა შეიძინა ნაწილი აშურიანის ველისა. მართალია, ბევრსა ცდილობდა მანთაშევი მთლად შეეძინა აშურიანის ველი, მაგრამ ვერ მოუხდა, რადგანაც დიდი მონაწილე გიორგი ამილახვარი, არ გამოდგა ისეთი, როგორიც იყვნენ სხვა მონაწილეები,

ჯერ შარშან ზაფხულსვე გავარდა თუ არა ხმა, მანთაშევმა აშურიანი იყიდა და ახლა ჰსურს სხვა მამულებიც შეიძინოს, ადგილობრივ მოსახლე გლეხკაცები დაფაცურდნენ: არიქათ თავს უშველოთ, თორემ მილიონერი მანთაშევი კრიჭაში ჩაგვიდება, მამულს ხელიდგან გვაცლის და ჩვენ რაღა გვეშველებაო

ბარნაბიანთ კარელებმა ამოირჩიეს კაცები, მიანდეს პატიოსან პირთ

თავიანთი საქმეების [illegible] თავისი გიორგი ამილახვარი [illegible] წილი [illegible] მამულისა მოვყიდოთ.

გიორგი ამილახვარმა [illegible] შეძაჭრებიან, ფასს კი მაძლევენ, მაგრამ ჩემი მამული [illegible] თქვენ [illegible] ფული მიაგრო- [illegible] კარე- ლებმა [illegible] როგორც იყო, საქმე მოაგვარეს. [illegible] რომელიც გიორგი ამილახვარს ეკუთვნის, [illegible] სამას დესეტინა მამულს [illegible] მამულის ხელში ჩაგდება უნდოდა მან- [illegible].

ხ. ზარნაზიანთ კარელებმა მიყიდ- მოჰყიდეს, თუ რამ გააჩნდათ სახლში. მორიგდნენ გიორგი ამილახვართან 248.0 მანეთად, მისცეს ბეღ 8252 მ. და 50 კ. პირველ აპრილს კიდევ უნდა მისცენ 1500 მანეთი, დანარჩენზე კი სთხოვეს სესხით დახმარება საგლეხო ბანკს.

მგზავრი.

ხმა ზუგდიდიდან

ამას წინად მოყვანილი იყო გაზეთში, რომ ზუგდიდის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებამ გადასწყვიტა ენკენისთვიდან გახსნას ქართული სკოლა. ეჭვი არ გვიბადება რომ ხსენებული საზოგადოება გაუძლვება ამ დიდ საქმეს, მაგრამ საჭიროა ეხლავე ფესვი მოვამაგრებინოთ და მაშასადამე ნიადაგიც მოვამზადოთ. ეს ნიადაგი უნდა იყოს საკუთარი შენობა, სადაც მოთავსდება როგორც სასწავლებელი, აგრეთვე ყველა ჩვენი ქართული დაწესებულება, მაგალითად: წერა-კითხვის საზოგადოება, თეატრი, ქართველ ქალთა წრე და სხვა.

ამით გავიჩენთ მკვიდრ ბუდეს, მოვღონიერდებით და მაზრასაც მივეშველებით.

დრო არის ზუგდიდი გადავაქციოთ გულად ქართულ საქმისა, რათა ვიხსნად სამეგრელო გადაგვარებისაგან. აქ ჩვენში სიხარულით ეგებებიან ხოლმე რაიმე კულტურულ საქმეს და წვლილსაც არ ზოგავენ. მაგალითად, მაზრაში ბევრგან საზოგადოება თავისი ხარჯით აგებს შენობას სამინისტრო სკოლებისათვის და აქ ზუგდიდშიაც მზათ არის საზოგადოება გაიღოს თითქმის 20 ათასი მანეთი რეალურ სასწავლებლისთვის. თუ კი სიხარულით იძლევა ამ ფულებს იმისთანა სკოლებისათვის, სადაც ბოლოს მათი შვილნი გამოდიან მხოლოდ მოხელენი და სრულიად გადაგვარდებიან ხოლმე, ნუ თუ საზოგადოება არ გაიღებს ხარჯს რომ დაუმკვიდრონ საფუძველი ქართულ სკოლას, ქართულ ენის დარაჯს?!..

ამიტომ მივმართავ ყოველს მეგრელს, ბანკს თუ რომელიმე ფირმას, სადაც კი მეგრელთა ქონება ტრიალებს, დაეხმაროს აქაურ წერა-კითხვის გამგეობას, რითიც კი შეუძლიან, რომ შეუდგნენ სკოლისათვის მკვიდრ ბუდის აშენებას, რისთვისაც საგანგებოდ ამ შენობისათვის უნდა გამოიგზავნოს შემოწირულება გამგეობის სახელზე. რომელი იქნება რომ არ გაიღოს წვლილი, თუ კი ესმის მას დიადი მნიშვნელობა ქართულ სკოლისა?!

აქ საკუთრივ მივმართავ მეგრელ ქალებსაც, გვერდში ამოუდგნენ მოწინავე ქართველ ქალებს. დარწმუნებული ვარ, მეგრელი ქალნიც სწორნი ქართლის ქალისა, შეიგნებენ დღევანდელ მდგომარეობას, აქაც დაარსებენ ქართველ ქალთა წრეს, წერა კითხვის საზოგადოებასთან ერთად, როგორც სექცია და მასთან იზრუნებენ მომავალ ბედ იღბალზე, რათა თავისი შეგნებულის მუშაობით დააგვირგვინოს განძრახულ სკოლის აშენება.

გიორგი ფოცხოველი.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვის ბალანსი.

საბიუჯეტო კომისიაში მსჯელობდნენ 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის ბალანსზე. ფინანსთა მინისტრი ბარკი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ შეემცირებინათ თანხა ხალხის სიფხიზლის სამზრუნველო კომიტეტებისთვის, რადგანაც, ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება უმაღლეს რესკრიპტის პრინციპებს, ფინანსთა მინისტრისადმი ბოძებულს.

ვინოგრადოვი და გოდნევი მოითხოვდნენ ამ თანხათა შემცირებას, [illegible] დღევანდელ პირობებში სამხედრო კომიტეტები [illegible] ჩვენ [illegible] წინადადება მოწონებისათვის.

„[illegible] სამხედრო კომისიამ უკანასკნელ [illegible] დაადგინა თანხის შემცირება [illegible] სამხედრო კომისიაში [illegible] გადას- ცეს, 28 მილიონი მანეთი [illegible] სასტუმრებლად. ფინანსთა მინისტრი ამის საწინააღმდეგო [illegible] სამხედრო კომისიამ ფრთხილად მოეკიდნენ თა- [illegible] თანხას, რადგანაც მოსალოდნელია ეს თანხა სამხედრო საჭიროების მოეხმაროს.

პოლიციის რეფორმა.

26 მარტს საპოლიციო რეფორმის კომისია იხილავდა ადმინისტრაციისა, ქალაქებისა დ ერობების სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის საკითხს კრებებისა და კავშირების შესახებ.

მომხსენებელი გრ. კაპნისტი მოითხოვდა ქალაქისა და ერობათა კომპეტენციის გაფართოვებას სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის ფარგალში.

გრ. კაპნისტის წინააღმდეგ ილაპარაკეს ნაციონალისტმა საფრონოვმა და პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორმა კაფაფოვმა. კაფაფოვი ამტკიცებდა, რომ კომისიას უფლება არა აქვს შესცვალოს აწ არსებულ წესისა სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის საფუძველი. კომისიას ექვემდებარება მხოლოდ ხასიათი ამა თუ იმ დადგენილებისა, რომელთაც ესა თუ ის დაწესებულება გამოსცემს. გრონსკი წინააღმდეგს ამტკიცებდა.

სინიდისის თავისუფლება.

სარწმუნოების გამოცვლის კანონპროექტის მომხსენებლად ნაცვლად ლვოვისა აირჩიეს ოქტომბრისტი კოჩუბეი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

29—30 მარტი.

უცხოეთი.

პარიზი. ფრანგ-ოსმალთა შეთანხმების ნაწილი, რომელიც ეხება რვაას მილიონიან სესხს (აქედან 500 მილიონი განაღდებული იქნება აპრილში), შეიცავს განცხადებას ოსმალეთის მთავრობის მშვიდობის მოყვარეთ განწყობილების შესახებ.

— ამ შეთანხმების მიხედვით საფრანგეთმა მიიღო კონცესიები შემდეგი რკინის გზების გაშენებისა: სამსუნ-ხარპუტა-არგანას შორის, შტოებით არგანა—ბითლისი, ტრაპიზონ-ერზერუმი, და ერზერუმ-სივოსს შორის. გარდა ამისა საფრანგეთი მიიღებს სირიაში რკინის გზის გასაყვან კონცესიას: საიდ-რამლეს შორის და ნავთსადგურებ იაფფა, კაიფი, ტრიპოლის, ინებილოს და გერაკლეის მოწყობის ნებას.

ბერლინი. „ლოკალ ანცაიგერი ამბობს: „გერმანიის საწინააღმდეგო ტენდენციები რუსეთში თანდათან იზრდება. როგორცა სჩანს, ჩვენ საქმე გვაქვს წინდაწინვე გეგმა შედგენილ მოქმედებასთან, რომელიც დამყარებულია მოსაზრებაზე, რომ წინდაწინვე შექმნან ფაქტები, რომელზედაც შემდეგ დაიმსხვრევა საუკეთესო ხელოვნური მოლაპარაკება. რუსეთს ნება აქვს, ასეთი გზა აირჩიოს თავისი ეკონომიური ინტერესების დასაცავად; მიუხედავად ამისა გერმანია არ დააგვიანებს გერმანიის ეროვნულ მუშაობისათვის საჭირო ზომების მიღებას.

ბერლინი. „ნორდდეიტშე-ცეიტუნგი" ამბობს: სამთა შეთანხმების სახელმწიფოების განცხადება საბერძნეთის ნოტაზე პასუხის შესახებ შეეხება სამთა კავშირის წინადადებას, რომ რაც შეიძლება მალე ჩასჭრან საბერძნეთის ჯარებმა სამხრეთ ალბანეთი. მთავრობათა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლაა. წინადადებას ისეთი რედაქცია აქვს, რომ სრულებით ადვილად შეიძლება ყველა სახელმწიფოს შეთანხმება იმ განცხადებების შესახებ, რომლის გამომჟღავნებასაც აპირებენ.

ლონდონი. სუფრაჟისტმა ქ-ნ მერი სტიუარტმა, რომელმაც მუზეუმში მინები ჩაამსხვრია, სასამართლოშიც უწესობა მოახდინა. მოსამართლეს დაკუმშული ქაღალდები ესროლა. სხდომა შესწყდა. ნაშუადღევს მან უწესობა განაახლა. იძულებულნი გახდნენ პოლიციელებისათვის მიემართნათ. მას გაასამართლებს ნაფიცი მსაჯულების სასამართლო.

[illegible] ტთა სამხრეთ ალბანეთში მისაღებ ზომების შესახებ.

ვენა. გაზეთების უმრავლესობის სააღდგომო წერილები ყოველი მხრით და აშკარად გამოსთქვამენ შიშს რუსეთის ძლიერების საოცარი ზრდის გამო და აგრეთვე ავსტრია-ჰუნგრეთისა და რუსეთის დამოკიდებულებისა.

რომი. „ჟენ-ტიურკი"-ს წერილის გამო სტეფანის სააგენტო იტყობინება, რომ იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა არავითარი ზომები არ მიიღოს დოდეკანეზის კუნძულების საკითხის გამო სანამ მცირე აზიაში ცნობილ კონცესიებს არ მიიღებს.

სოფია. პირველმა მინისტრმა სახალხო საკრებულოში პასუხი გასცა სოციალისტების ლიდერს იმის შესახებ, ვითომც სამხედრო ლიგისაგან გამოდიოდა მუქარის წერილები. მან და სამხედრო მინისტრმა უარჰყვეს ჯარში რაიმე ფარული ორგანიზაციის არსებობა, საკრებულოში შეტანილ იქნა წინადადება, საპარლამენტო ანკეტა მოახდინონ დანევისა და გეშოვის კაბინეთების შესახებ მათი მმართველობის დროს, განსაკუთრებით კი ომის დროსა.

— მემარცხენეებმა წინადადება შეიტანეს, იმ ჯარის-კაცთა ამნისტიის შესახებ, რომელნიც პასუხის გებაში არიან მოცემულნი სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის.

ბელგრადი. სერბიის მთავრობამ ალბანეთის მთავრობის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საშიშია არნაუტის რაზმების შეგროვება სერბიის საზღვრებზე. ალბანეთის მთავრობამ უპასუხა, ზომებს მიიღებს საზღვრებზე შეტაკების თავიდან ასაცილებლათაო.

სკუპშჩინამ ერთხმად მიიღო კანონ-პროექტი სერბიისა და რუმინიის კონვენციისა დუნაიზე ხიდის გაკეთების შესახებ. დიდი საერო სკუპშჩინა მოწვეული იქნება 1915 წლის გაზაფხულზე.

ათინა. ალბანელებმა დაიპყრეს ლესკოვიკისა და პრემეტის შუა მდებარე სოფლები. ეპირის ავტონომიურმა ჯარმა იერიში მიიტანა ალბანელებზე და უკუაქცია. ალბანელები ბევრი დახოცილი და დაჭრილს ჰყავთ.

ხანკოუ. სიენფუდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 2000 ყაჩაღი მდინარე ვეიხოს ჩრდილოეთისკენ გამართა, ბევრი ქალაქი გაძარცვეს. „თეთრმა მგლებმა" მოწოდება გამოსცა, რომელშიაც მთავრობას ჰკიცხავენ. ყაჩაღებმა დროშები ააფრიალეს, რომელზედაც წარწერილია „თანასწორი უფლება ყველასათვის". ჯარები იგზავნება.

ლიუბლინი. აქაურ უნივერსიტეტის დოცენტს ილებიჩს სახელმწიფოს ღალატს აბრალებენ.

რუსეთი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ სათათბიროში შესატანად მოიწონა კანონ-პროექტები: 1914 წელს შავ ჭირთან საბრძოლველ კომისიისათვის 2 მილიონის გაღებისა, 1914—16 წლებში ყოველ წლივ 25,300 მანეთის გაღებისა შავი-ზღვის პირის მხარეებში მალიარიის შესასწავლ ხარჯების დასაფარავად. აგრეთვე მოიწონეს კანონ-პროექტი, რომ დაწესდეს სავალდებულო კონტროლი გასასყიდ აბრეშუმის თესლზე.

პეტერბურგი. გზათა სამინისტროა ნება დართო გამოიკვლიონ კურსკ-კრემენჩუგის შორის რკინის გზა.

შავი ჭირის კომისიამ ექსპერიმენტალურ მედიცინის ინსტიტუტს 59 ათასი მანეთი გადასცა, რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთის მხარეებში შავი ჭირის საკითხის გამოსაკვლევად.

ვლადივოსტოკი. საოლქო სამხედრო სასამართლომ პოლპოლკოვნიკს სოტკინს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ბრალდებულმა მოჰკლა სავაჭრო ფირმის „კუნსტისა და ალბერტის" წარმომადგენელი „ეპინი". სასამართლომ სცნო, რომ სოტკინი მოქმედებდა გაბრაზების დროს.

ვლადივოსტოკი. შეიპყრეს ხუნხუზების ბრბო შვიდი კაცისაგან შემდგარი. ორი სასიკვდილოდ დაჭრილია. ყაჩაღები სამართალში მისცეს.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებლების მიმოსვლა

ტფილისიდან გადის.

ბაქოისაკენ: № 6, ჩქარი ფოსტ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-სახარჯო ნაშუადღ. 3 ს. [illegible], [illegible] საღამ. 10 ს. 16 წ., [illegible] სამგზავ. საღ. 6 ს. 29 წ., № 106 ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, სამგ. დილ. 9 ს. 5[illegible] წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, სახჩქარო პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, სახ. დილ. 8 ს. ? წ. № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისკენ: სამგ. № 4/3, შუადღ. 12 ს 00 წ.

ყარსისკენ: სახ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ., **ერევანისკენ:** № 24/23, სახარჯ.-სამგზ. [illegible], 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, სამგ. დილის 9 ს. 1 წ. № 21, სახარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7. სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, სახჩქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 31 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე), № 8, სახჩქ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, სამგ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4|3 საღამოს 7 საათსა დ წუთსა სადგომით.

ერევნიდან № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მეორე და მე-3 კლასის ვაგონით.

ქალაქის საავადმყოფოები

[illegible]—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანიძე** (სადგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათულიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
(—7	**ვ. ლ. კიკოლაშვილი** (ავლაბარი კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9	**ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (ბუნინის ქ., № 23).
10, 11—12	**ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985).

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606" და „914"

11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტაციურად.

ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

მ. გ. ბეგახსაროვი: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბ ახანხოვი: 10—11 ს. საბავშო, ქალებისა ბავშვებისა.

გ. გ. ბენიამინოვი: 10—11 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფობა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-[illegible]** 1—2 ს. საბავშო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი.**
1071

ფეხსაცმელების მაღაზია

თომა დ.
ჯანყარაშვილის
მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია სააღდგომოდ დიდძალი ფეხსაცმელები ამხ. პეტერბურგის მექანიკური და ვარშავისა **ქალებისა, ვაჟებისა და ბავშვების.**

ფასები საქარხნოა. აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები. 172.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 [illegible] (გვერდის? [illegible] სახლი, ტელეფ. 461).

3—4 [illegible] და რუსის ბაზარში **ქრ. დ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის ქ., 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ხახიაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰხვდნენ—სავლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.— დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ვაკის მოედანზე.

[illegible] ყველა წიგნის მაღაზიაში

ი ყ ი დ ე ბ ა

ახალი წიგნი
ქართველი პოეტების
ლექსები, ნათარგმნი ნ. ე. მ. (რეულო) (აბაშელი, აბაშიძე, ახოსპირელი, ბარათაშვილი, განდეგილი, გრიშაშვილი, გურიელი, მაყაშვილი, მეგრელი, ვაჟა-ფშაველა, რუხაძე, ა. წერეთელი, ა. და ი. ჭავჭავაძე, ჭილადიდელი, შანშიაშვილი, ევდოშვილი და რ. ერისთავი)
ფასი 1 მან. 25 კაპ. 217

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვორონცოვის შესახვევი **№ 8.** მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე; საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა.

ქუთნია. ილიას ნაწერები, . ფასი 1 მ.
ხუნდაძე სილოვან. ლექსები, ქ. 1902, 50 კ.
—მეზობლები და თოთოლას სიზმარი, ბ. 1899 წ. . . . 5 ,,
—ჩემი აზრი და ფიქრები, ნაწ. 1-ლი, ქ. 1901. . . . 20 ,,
—ცხოვრების სურათები ჩემი აზრი და ფიქრები, მე-2-ე ნაწ. 1902. . 20 ,,
—სიმები, ქუთ. 1894. . . . 5 ,,
ქართ. ლიტერატურის სახელმძღვანელო, ნიკ ბარათაშვილი, . . 15 ,,
ხუსკივაძე: თხზულებანი, , . 30 ,,
—ეკატერინე ბატონიშვილი, 1895, 5 ,,
ფანცხავა. თხზულებანი, ფოთ. 1903, 1 მ. —
ხევის-უბნელი. ცხენის წურბელა, მოთხრობა ჩვენი ცხოვრებიდან, 15 ,,

შანშიაშვილი. შვების თავადი, . 60 ,,
—სულამიტი ლირიკ. პოემა, ტ. 1909, 10 ,,
ჩარხიშვილი. ცხოვრება და სიყვარული, ტ. 1904. . . . 40 ,,
—ლექსები და პოემები, ტფ. 1903, 15 ,,
სალიტერატურო კრებული „გრდემლი", 1-ლი ტ., ტფ. 1912. . 1 მ. 50 ,,
იგივე მე-2-ე, 1912. . . . 1—50 ,,

ახალი წიგნები:
ა. ჯორჯაძის მეხუთე წიგნი . 1 მ.
ვეფხის ტყაოს., ს. კაკაბაძის გამოც. 2—50 ,,
დ. ჯანაშვილი. 1 (ქართულ ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან, 2) ქართველი ქალები, . 75 ,,
ეკ. გაბაშვილ ი. ღვინია გადარჩება, საყმაწვილო მოთხრობა. . . 5 ,,

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва гра.. гр. гр. нас. 1072

ინჟინერი
ი. ს. კონდოევი

ტ ფ ი ლ ი ს ი
ელისაბედის ქუჩა, 164, ბაქოს ქ. კუთხე.

ტელეფონი კანტორისა № 123.

რკინის კოჭები, საქვაბე რკინა, რკინის საკუთხე, რკინა სახლის სახურავისათვის.

ც ე მ ე ნ ტ ი
ასფალტი, გუდრონი, ცეცხლში გამძლე აგური და თიხა, ლურსმნები, ანკერები და სხვა საიმშენებლო მასალი. 1025

აგური სახლების ასაშენებლად, საკუთარი აგურხანისა, ვაკეში.

ახალი ბაზარი

გაიხსნა

მველი სემინარიის ეზოში (პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩაზე).

ვისაც სავაჭრო ადგილების იჯარით აღება სურთ, ცნობებისათვის და პირობებისთვის უნდა მიმართონ ამ სახლის გამგე კანტორას.

ტელეფონი 10—30
1137

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ძირზე, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

კავკასიის პირველი ამხანაგობა

შეკერილ ტანისამოსისა
ნიკოლოზის (კუკიის) ხიდი 28—30.

ამით ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ მიღებული გვაქვს დიდ-ძალი რჩეული ტანისამოსი, უკანასკნელ ფასონით შეკერილი

კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის

რათა მომავალ სეზონისათვის ეხლანდელი საქონელი აღარ დაგვრჩეს,

დ ა ვ ნ ი შ ნ ე
უდიდესი იაფი ვაჭრობა

ნამდვილ ღირებულობაზე 60% ის დაკლებით.
მაღაზიაში არსებულ საქონელზე ფ ა ს ე ბ ი დანიშნულია

შეუვაჭრებლად

იაფ ვაჭრობის დროს გაყიდულ ტანისამოსის გადაკეთებას არ ვკისრულობთ.
1126 დავშთები პატივისცემით ფირმის გამგე ა. ი. კადაშიანი.

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.